N681 2014 წლის 16 დეკემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/09/2014, 010320000.10.003.018196) და დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ (დანართი №1) 29-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მთავარი საჯარო თანამდებობა:

ა) სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე;

ბ) სახელმწიფო მინისტრის მოადგილე;

გ) სახელმწიფო მინისტრის უფროსი მრჩეველი;

დ) დეპარტამენტის უფროსი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2015 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**